არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება საპროკურორო საბჭოს დღევანდელ სხდომასთან დაკავშირებით

განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები ვეხმიანებით მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევის მიზნით, დღეს გამართულ საპროკურორო საბჭოს სხდომას და კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ აუცილებელია პროცესი შეჩერდეს კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე.

მთავარი პროკურორის არჩევის მოქმედი წესი მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. კერძოდ,

საპროკურორო საბჭოს კანდიდატებს წარუდგენს იუსტიციის მინისტრი. მინისტრი, ასევე, გვევლინება საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს წევრები არიან პარლამენტარები და საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან არჩეული 2 არაპროკურორი წევრი. ამ რეჟიმში, საბჭო ვერ უზრუნველყოფს, მთავარი პროკურორის კანდიდატად პოლიტიკურად ნეიტრალური პირის შერჩევას, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა დღეს განვითარებული მოვლენებით.

მთავარი პროკურორის შერჩევის მიმდინარე პროცესმა საწყისი ეტაპიდანვე არაერთი კითხვა გააჩინა, მათ შორის, კონსულტაციების ეტაპთან დაკავშირებით. კონსულტაციებისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, მთავარი პროკურორობის სამი კანდიდატი იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებმა (მინისტრის მოადგილემ) დაასახელა. დასახელებულ სამ კანდიდატს შორის აღმოჩნდა მოქმედ იუსტიციის მინისტრთან ნათესაურ კავშირში მყოფი პირი, რამაც ამ პროცესში ინტერესთა კონფლიქტის რისკები დამატებით გამოკვეთა. საპროკურორო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე გადაწყვეტილება სწორედ ამ კანდიდატის სასარგებლოდ მიიღო. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე, იუსტიციის მინისტრის მხრიდან გაკეთებული განმარტება, რომ ის არ მიიღებდა მონაწილეობას კანდიდატურების კენჭისყრაში, კიდევ ერთხელ მიუთითებს კანდიდატურების დასახელების ეტაპზე ინტერესთა კონფლიქტის არსებობის პრობლემაზე. ამ ფონზე, საპროკურორო საბჭომ მხარი არ დაუჭირა პროცესში გამჭვირვალობის ელემენტის შეტანის სურვილს და კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ ფორმატში წარმართა. შესაბამისად, საზოგადოებისთვის ჯერ-ჯერობით უცნობი რჩება რის მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება საპროკურორო საბჭომ.

მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესში ამ დრომდე განვითარებული მოვლენები ნათლად აჩვენებს მთავარი პროკურორის შერჩევის წესის ხარვეზიანობას და პროცესის ლეგიტიმაციის ხარისხის პრობლემას, რაც შესაბამისად აისახება ამ გზით არჩეული მომავალი მთავარი პროკურორის და პროკურატურის სისტემის მიმართ ნდობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეაჩეროს მოქმედი წესით მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის პროცესი და უზრუნველყოს გენერალური პროკურორის არჩევა ახალი კონსტიტუციური მოდელის შესაბამისად, რომელიც გამორიცხავს ამ პროცესში პოლიტიკურ მონაწილეობას და ზრდის ამ თანამდებობაზე პოლიტიკურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი პირის არჩევის შესაძლებლობას.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ღია საზოგადოების ფონდი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

ადამიანის უფლებათა ცენტრი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო